CONTEMPORARY
EDUCATION ACADEMY

შპს თანამედროვე
განათლების აკადემია
სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა

შემუშავებულია 2021 წელს

სარჩევი

პრეამბულა	3
SWOT ანალიზი	4
აკადემიის ხედვა და მისია	7
აკადემიის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებები	8
სტრატეგიული გეგმის ძირითადი ორიენტირები	10
სტრატეგიული გეგმის იმპლემენტაციით მოსალოდნელი შედეგები	10
საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროგრამის, ძირითადი ორიენტირები	12
აკადემიის მისიისა და ძირითადი ორიენტირებისმისაღწევად საჭირო აქტივობები	14

პრეამბულა

შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ (შემდგომში „აკადემია“) განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგენს ექვსწლიან სამოქმედო განაცხადს, რომელიც აკადემიის მისიიდან გამომდინარეობს და მისი განვითარების საფუძველია.

გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში ასახულია ყველა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას მოახდენს, ან შესაძლოა მოახდინოს, აკადემიის ინსტიტუციურ განვითარებასა და მისი რომელიმე სტრუქტურული ერთეულის გამართულ მუშაობაზე.

სტრატეგიულ გეგმაში ასახულია ის ღირებულებები და ხედვა, რომელსაც აკადემია იზიარებს და ავითარებს, როგორც სკოლამდელ, ასევე სასკოლო განათლების საფეხურებზე.

აკადემიის მიზანია, საკუთარი მისიისა და ხედვის საპასუხოდ, გაზარდოს ინსტიტუციური ცნობადობა სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში და დაიკავოს ლიდერი პოზიცია კონკურენტულ ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში

სტრატეგიული განვითარების გეგმაში ჩამოყალიბებული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს აკადემიის დამფუძნებლების, დირექტორთა საბჭოს, დირექციის, თანამშრომლების, მშობლებისა და აკადემიის საქმიანობით დაინტერესებული საზოგადოების მჭიდრო და ინტენსიური თანამშრომლობა.

აკადემიაში მართვის სტილი ეყრდნობა თანამშრომლობით პრინციპებს, ფუნქციათა დელეგირებას, მონაწილეობით კულტურას, ურთიერთნდობასა და გამჭვირვალეობას, რაც ხელს უწყობს აკადემიის საზოგადოებაში (პედაგოგები, მოსწავლეები, აღსაზრდელები და მშობლები) მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებას და ინსტიტუციურ განვითარებაზე ორიენტირებულობას.

აკადემია ქმნის აღსაზრდელისა და მოსწავლის პიროვნულ, კოგნიტურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს, რომელშიც მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მოსწავლეებში თანამედროვე სამყაროში ჰარმონიული ადაპტირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების და დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას.

სტრატეგიული განვითრების მიზნების შესრულებისთვის საჭირო აქტივობები გაწერილი იქნება ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებში. თავის მხრივ, წლის სამოქმედო გეგმის შესრულება გაანალიზდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, რის საფუძველზეც, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შევა გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაში.

ყოველწლიური სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს აქტივობების აღწერას, ახდენს ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის/პირის იდენტიფიცირებას და ადგენს მონიტორინგის განხორციელების მექანიზმებს/ინდიკატორებს.

სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია აკადემიის პრიორიტეტები, დასახულია მისი ინსტიტუციური განვითარების ხედვა და პერსპექტივები, რომლებიც ეყრდნობა ა) 2015-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების ანალიზს და ბ) არსებული გამოწვევების საპასუხოდ, აკადემიის სამომავლო საჭიროებების კვლევის შედეგებს.

აკადემიის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების დიაგნოსტირებისა და განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს: მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, ფოკუსჯგუფების (მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან), სასწავლო პროცესზე ხარისხის განვითარებისა და პროფესული მხარდაჭერის ჯგუფის დაკვირვების და გამოკითხვის (მშობლები, მოსწავლეები და თანამშრომლები) შედეგებს, ასევე სამაგიდე კვლევას (არსებული დოკუმენტაციის ანალიზი).

არსებული რეალობის SWOT ანალიზი

- განსაზღვრავს იმ ძლიერ მხარეებს, რომლებიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას შეუწყობს ხელს;
- განსაზღვრავს იმ სუსტ მხარეებს, რომლებიც უნდა გამოსწორდეს, რათა მისიაში მოცემულ მიზნებს მივაღწიოთ;
- ადგენს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც აქამდე გამოუყენებელი დარჩა ან მათი უკეთესად გამოყენებაა მომავალში შესაძლებელი;
- განსაზღვრავს იმ საფრთხეებს, რომელთა პრევენცია და/ან გათვალისწინება უნდა მოხდეს.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
● უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანური რესურსი ● უსაფრთხო, პოზიტიური, წამახალისებელი, ინკლუზიური გარემო ● მოსწავლეთა სოცილაურ-ემოციურ, და ზოგადად, პიროვნულ განვითარებაზე ეფექტიანი ზრუნვა; ● სწავლა-სწავლების თანამედროვე, მოსწავლის/აღსაზრდელის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული პედაგოგიური მიდგომების გამოყენება ● ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდითა და სხვა სასწავლო-მეთოდური	● აკადემიის დაბალი ინსტიტუციური ცნობადობა ● მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების ნაკლებეფექტიანი განხორციელება ● სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის ნაკლები გამოცდილება ● სადამრიგებლო პროგრამების არასისტემურად განხორციელება ● კათედრების წევრებს შორის თანამშრომლობის ფრაგმენტულობა ● მოსწავლეთა რემედიაციული აქტივობების ფრაგმენტულად განხორციელება

რესურსით ● მოსწავლეთა მზაობასა და ინტერესებზე მორგებული სასწავლო პროგრამები და პროცესი ● მოსწავლეთა მრავალფეროვანი კლუბები ● ღია და დახურული სპორტული მოედნები და კეთილმოწყობილი ეზო ● ფსიქოლოგის და ექიმის მომსახურება ● სკოლამდელი განათლების პროგრამა, აღსაზრდელების უახლოესი განვითარების ზონის შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით ● მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის მზაობა და ღიაობა სიახლეების მიმართ ● კრიზისული სიტუაციების ეფექტიანი მართვა ● დისტანციური სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელება ● სასწავლო პროგრამებში ორიენტირება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესრულებაზე და მოსწავლეების მომზადება მსოფლიოში არსებული გამოწვევების ეფექტიანად საპასუხოდ.	● არაფორმალური განათლების აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა დაბალი ჩართულობა ● მოსწავლეთა არასაგაკვეთილო დროის მართვა-კონსულტირების ნაკლებეფექტიანობა ● საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების დაბალი ჩართულობა საკლუბო აქტივობებში ● საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით მულტიფუნქციური ვირტუალური ლაბორატორიის არ არსებობა ● ICT-ის ლაბორატორიის არასრულყოფილი გამართულობა ● თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემის ნაკლებეფექტურად მუშაობა.
შესაძლებლობები ● საერთაშორისო პროგრამების ინტეგრირება სასკოლო და სააღმზრდელო კურიკულუმში ● პარტნიორი ორგანიზაციების (უნივერსიტეტებისა და სხვა სამთავრობო და	**საფრთხეები** ● საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სექტორებს შორის მაღალი კონკურენციის პირობებში დინამიურად მზარდი

არასამთავრობო საგანმანათლებლო დაწესებულებების) ქსელის შექმნა და მათი ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფა აკადემიის სასწავლო- სააღმზრდელო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ● ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საგანმანათლებლო-კვლევით აქტივობებში (კონფერენციებში, ოლიმპიადებში, კონკურსებში და სხვ.) მონაწილეობა ● საკლასო და სასკოლო ინიციატივების წახალისების გზით მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა აკადემიის ცხოვრებაში	საზოგადოებრივი მოლოდინების დაუკმაყოფილებლობა ● ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის გავლენა ● პანდემიით, ან სხვა ობიექტურად დაუძლეველი ვითარებით გამოწვეული გამოწვეული არასტაბილური გარემო

აკადემიის ხედვა და მისია

ხედვა

უსაფრთხო და პოზიტიურ გარემოში, პროფესიონალთა გუნდის მიერ, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებით, ისეთი თაობების აღზრდა, რომლებიც შეძლებენ თვითრეალიზებას და პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას მუდმივად განვითარებად სამყაროში.

მისია

აკადემიის მისიაა:

- აღსაზრდელებისა და მოსწავლეებისთვის შექმნას უსაფრთხო, მამოტივირებელი, ინკლუზიური და ინოვაციური გარემო;
- ტექნოლოგიებზე დაფუძნებული და ინტერაქტიური მიდგომების გამოყენებით, შემსწავლელებს ჩამოუყალიბოს დემოკრატიული მოქალაქეობრივი ღირებულებები, განუვითაროს წიგნიერების, რაოდენობრივი და მედია წიგნიერების უნარები, მისცეს პლურილინგვური განათლება;
- დაეხმაროს შემსწავლელებს საკუთარი შესაძლებლობების უწყვეტ განვითარებასა და წარმატების მიღწევაში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

მისიის მისაღწევად აკადემია

- ქმნის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო, პოზიტიურ, თანამშრომლობით სასწავლო-სააღმზრდელო გარემოს;
- ხელს უწყობს მოსწავლის ფიზიკური, კოგნიტური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას;
- მუდმივად იკვლევს შემსწავლელთა საჭიროებებს და მიგნებს იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნებისთვის;
- ზრუნავს მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, როგორც აკადემიის ბაზაზე, ისე პარტნიორ საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;
- სასწავლო პროცესში ნერგავს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- მუდმივად ავითარებს და სრულყოფს სასწავლო კურიკულუმს და საგანმანათლებლო რესურსებს;
- ხელს უწყობს მშობლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში;
- ქმნის არაფორმალური განათლების ხელშემწყობ გარემოს;
- ციფრულ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, სწავლა-სწავლების ინტერაქტიური

მიდგომების გამოყენებით, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებას;

- მუდმივად ზრუნავს შემსწავლელთა და თანამშრომელთა ინიციატივების წახალისებაზე.

აკადემიის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებები 2021 - 2027 წლებისთვის

1. სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება
2. თითოეული შემსწავლელის საჭიროების კვლევისა და შესაბამის მიგნებებზე რეაგირების სისტემის გაუმჯობესება
3. ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების განვითარება
4. აკადემიისადმი ინსტიტუციური ცნობადობის ზრდა

მოკლევადიანი (უახლოესი ორი წლის განმავლობაში მისაღწევი) მიზნები

- სასწავლო პროცესის ხარისხის მუდმივი სრულყოფა
- ელექტრონული ბაზების და რეესტრის გამართულობის უზრუნველყოფა;
- მოსწავლეთა კონსულტირების სისტემის გაუმჯობესება;
- სადამრიგებლო პროგრამის განვითარება;
- დამრიგებლის ასისტენტის ფუნქციის გაძლიერება;
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება;
- აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;
- თვითშეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემის განვითარება;
- საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრირება სასკოლო და სააღმზრდელო კურიკულუმში.

საშუალო ვადიანი (უახლოესი სამი წლის განმავლობაში მისაღწევი) მიზნები

- აკადემიის ინფრასტრუქტურული განვითარება;
- აკადემიისადმი მიკუთვნებულობისა;
- მოსწავლეთა კონტიგენტის ეტაპობრივი ზრდა;

- მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესება;
- ინტეგრირებული და ინტერდისციპლინური სწავლების გაძლიერება;
- პროექტზე დაფუძნებული მიდგომების გაძლიერება;
- საერთაშორისო კავშირების გაძლიერება;
- თითოეული შემსწავლელის საჭიროებების კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს სრულყოფა;
- კათედრების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება
- საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრება და ბიბლიოთეკის ტექნოლოგიური გამართვა;
- მაღალკვალიფიციური კადრის მოზიდვა და მათი პროფესიული განვითარება;
- ინკლუზიური განათლების დანერგვა;
- არაფორმალური განათლების გაძლიერება და მისი ინტეგრირება სასწავლო კურიკულუმში.

გრძელვადიანი მიზნები

- აკადემიის ორგანიზაციული განვითარება;
- სწავლა - სწავლების ხარისხის განვითარება;
- ინტეგრირებული და ინტერდისციპლინური სწავლების გაძლიერება;
- პროექტზე დაფუძნებული მიდგომების გაძლიერება;
- აკადემიაში დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული კორპორატიული კულტურის განვითარება;
- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება;
- აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;
- თვითშეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემის მუდმივი განვითარება;
- აკადემიის ინსტიტუციური ცნობადობის ამაღლება;
- საერთაშორისო პროგრამების დანერგვა.

სტრატეგიული გეგმის ძირითადი ორიენტირები:

- ორიენტაცია თითოეული აღსაზრდელისა და მოსწავლის მიერ მიღწეულ შედეგსა და მათ პიროვნულ განვითარებაზე;
- ორიენტაცია მასწავლებლის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე;
- ორიენტაცია სასწავლო რესურსების მობილიზებაზე, შექმნასა და ეფექტურ გამოყენებაზე;
- ორიენტაცია უსაფრთხო სკოლასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის პროექტებზე;
- ორიენტაცია მშობელთა კონსტრუქციულ ჩართულობაზე;
- ორიენტაცია თემთან თანამშრომლობით პროექტებზე;
- ორიენტაცია სწავლების მეთოდოლოგიურ მრავალფეროვნებაზე;
- ორიენტაცია დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე;
- ორიენტაცია დამატებითი საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი საქმიანობის განხორციელებაზე;
- ორიენტაცია საგრანტო პროექტების მოზიდვა-განხორციელებაზე;
- ორიენტაცია მომსახურებით სწავლებასა და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის განხორციელებაზე;
- ორიენტაცია ფინანსურ სტაბილურობასა და ინფრასტრუქტურის ganვითარებაზე.

სტრატეგიული გეგმის იმპლემენტაციის მოსალოდნელი შედეგები:

- საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პირობები არის მოსწავლეზე ორიენტირებული;
- გამართულია თითოეული შემსწავლელის საჭროებების კვლევის და მათზე ეფექტური რეაგირების სისტემა;
- განათლების მიღების პირობები აკმაყოფილებს ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს;
- უზრუნველყოფილია ინკლუზიური, ინოვაციური, უსაფრთხო და პოზიტიური გარემო;
- დამკვიდრებულია ჯანსაღი ცხოვრების წესი;
- უზრუნველყოფილია პედაგოგთა მიზნობრივი პროფესიული განვითარების უწყვეტი შესაძლებლობა;
- უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და პედაგოგთა შემეცნებით, სპორტულ, გარემოსდაცვით, სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობა, რითაც ხელშეწყობილია სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება;
- უზრუნველყოფილია სამოქალაქო და პატრიოტული ცნობიერების, დემოკრატიული კულტურის დანერგვის ხელშეწმყობი პროგრამების, პროექტების, აქტივობების განხორციელება;
- უზრუნველყოფილია თანაბარი, არადისკრიმინაციული მიდგომა მოსწავლეთა და

თანამშრომელთათვის, განურჩევლად მრწამსისა, სქესისა, რელიგიური, ეროვნული და სხვა კუთვნილებისა;

- უზრუნველყოფილია დაინტერესებული საზოგადოების აკადემიის განვითარებაში მონაწილეობა;
- გამართულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- უზრუნველყოფილია ადამიანური და მატერიალური რესურსების მოძიების, მოზიდვისა და განვითარების მექანიზმები/საშუალებები;
- უზრუნველყოფილია საერთაშორისო დეკლარაციებით, კონვენციებითა და საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული ნორმების დამკვიდრების ხელშეწყობა;
- დამკვიდრებულია არაფორმალური განათლების აქტივობები, რაც ხელს უწყობს შემსწავლებებში 21-ე საუკუნის უნარების განვითარებასა და ღირებულებების ჩამოყალიბებას.

დასახული შედეგების მიღწევაში საკვანძო როლი ეკისრება ადამიანურ რესურსს. ამიტომ, საკადრო პოლიტიკის სწორი, მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის განსაზღვრა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

აკადემიის წარმატება და განვითარება მნიშვნელოვანწილად ეფუძნება მასწავლებლის პროფესიულ ოსტატობას. მათ მაღალი პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა, ძალისხმევა და ენთუზიაზმი სჭირდებათ იმისთვის, რომ უპასუხონ თანამედროვე მოთხოვნებს. მუდმივი სწრაფვა განვითარებისაკენ, რეფლექსიურობა, სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიების ათვისება და ეფექტიანი გამოყენება, საკუთარი გამოცდილებისა და უნარების განვითარება საკვანძო წინაპირობაა აკადემიის წარმატებული საქმიანობისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აკადემია საკადრო პოლიტიკის ძირითად ორიენტირებად ისახავს:

- პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას;
- პედაგოგთა პროფესიული საჭიროებების საპასუხოდ, სხვადასხვა მიზნობრივი აქტივობის დაგეგმვასა და განხორციელებას აკადემიის ბაზაზე;
- პედაგოგთა პროფესიული საჭიროებების საპასუხოდ, გარედან შემოთავაზებული პროფესიული განვითარების პროგრამებსა და პროექტებში ჩართვას;
- კათედრების ხარისხიანი მუშაობის ხელშეწყობას;
- პედაგოგთა პროფესიული საჭირობების კვლევას, მუდმივ მხარდაჭერასა და მონიტორინგს;
- წამახალისებელი ღონისძიებების (დაჯილდოება, მადლობის გამოცხადება და სხვ.) დანერგვას;
- პედაგოგთა წარმატებული საქმიანობის გარე ფაქტორების (მშვიდი სამუშაო გარემო, ეთიკური სტანდარტების დანერგვა, მასწავლებლის საჭიროებების გათვალისწინებით საგაკვეთილო პროცესის ორგანიზება და სხვა) ეფექტურ მართვას;
- საწავლო პროცესის ხარისხის მუდმივ განვითარებასა და შეფასებას;
- სასწავლო პროცესის მაღალკვალიფიციური კადრით უზრუნველყოფას;
- შინაგანაწესის დაცვას.

საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროგრამის ძირითადი ორიენტირები

აკადემიის განვითარება, მისი სტრატეგიული ინტერესები ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტებს. დასახული ამოცანის შესრულება სწორი საკადრო პოლიტიკის პირობებში აკადემიის მიერ განხორციელებული სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამებითა და მრავალფეროვანი არაფორმალური განათლების აქტივობებით არის შესაძლებელი.

აკადემია, აღსაზრდელთა, მოსწავლეთა, მშობელთა და თანამშრომელთა აქტიური ჩართულობით, ხელს უწყობს იდეათა გენერირებას, განვითარებასა და განხორციელებას. მნიშვნელოვანია იდეები, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება საინტერესოდ, ინოვაციურად წარმართოს გაკვეთილი, გაამრავალფეროვნოს აკადემიის სასკოლო ცხოვრება და მოსწავლეებს სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების დადებითი მუხტი შესძინოს.

აკადემიის პრიორიტეტებმა მოსწავლის ღირსეულ მოქალაქედ, მოაზროვნე, ზნეობრივ, კულტურულ პიროვნებად ჩამოაყალიბება უნდა განაპირობონ.

მოსწავლეებისათვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი განათლების მიცემის მიზნით აკადემიის სასკოლო სასწავლო გეგმა მუშავდება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე აკადემიის თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური მზაობის, მისწრაფებების, მიდრეკილებების გათვალისწინებით.

აკადემიის სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის

ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები, კერძოდ:

ა. სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.

ბ. სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

გ. სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.

დ. სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).

ე. სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

თანამედროვე განათლების აკადემიაში სკოლამდელი განათლების პროგრამის მიზნები და შესაბამისი აქტივობები გაწერილია სკოლამდელი აღზრდის პროგრამის ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში.

პროგრამის მთავარი პრინციპებია:

- უნიკალური ბავშვი - თითოეულ ბავშვს დაბადებიდან აქვს სწავლისა და განვითარების უნიკალური უნარი.
- პოზიტიური ურთიერთობები - ბავშვები ძლიერდებიან და ხდებიან დამოუკიდებლები პოზიტიური ურთიერთობების საფუძველზე.
- მამოტივირებელი, ინკლუზიური, ინტერაქტიური გარემო - გარემოს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა აღსაზრდელის სწორ ფორმირებასა და განვითარებაში.
- სწავლა და განვითარება - ბავშვები სხვადასხვაგვარად სწავლობენ და ვითარდებიან. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ პროგრესი იყოს სწავლისა განვითარების ყველა მიმართულებით აღსაზრდელის უახლოესი განვითარების ზონის გათვალისწინებით.

აკადემიის სასკოლო სასწავლო გეგმის ორიენტირები

- ორიენტაცია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე;
- ორიენტაცია პლურილინგვურ, STEM და ჰუმანიტარული განათლებაზე;
- ორიენტაცია მედია რესურსებისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაზე სასწავლო პროცესში
- ორიენტაცია თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებასა და სასწავლო შედეგების მუდმივ გაუმჯობესებაზე;
- ორიენტაცია სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების ერთიანობაზე;
- ორიენტაცია სასწავლო რესურსების შექმნასა და მათ ეფექტურ გამოყენებაზე;
- ორიენტაცია სწავლა-სწავლების აქტიურ, მრავალფეროვან, მოსწავლეზე ორიენტირებულ მეთოდთა მრავალფეროვნებაზე;
- ორიენტაცია სწავლა-სწავლების ხელშემწყობ პოზიტიურ საგანმანათლებლო- სააღმზრდელო აქტივობებზე.;
- ორიენტაცია მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მუდმივ გაძლიერებაზე;
- ორიენტაცია მოსწავლეთა რემედიაციულ აქტივობებზე მათი სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინებით მიზენით;
- ორიენტაცია მოსწავლეებში დემოკრატიული მოქალაქეობის კომპეტენციების განვითარებაზე.

აკადემიის სკოლამდელი განათლების პროგრამის სასწავლო გეგმის ორიენტირები

- ორიენტაცია სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტების დანერგვაზე;
- ორიენტაცია თითოეული აღსაზრდელის პიროვნულ ზრდასა და მოტორული, შემეცნებითი, სოციალური-ემოციური უნარების განვითარებზე;
- ორიენტაცია სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების ერთიანობაზე;
- ორიენტაცია სასწავლო რესურსების შექმნასა და მათ ეფექტურ გამოყენებაზე;
- ორიენტაცია კეთებითა და თამაშის სწავლის პრინციპების გამოყენებეაზე;
- ორიენტაცია სწავლა-სწავლების ხელშემწყობ პოზიტიურ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო აქტივობებზე.

აკადემიის მისიისა და ძირითადი ორინტერების მისაღწევად საჭირო აქტივობები

აღწერილი ორიენტირებიდან გამომდინარე, აკადემია მიმართავს სხვადასხვა ღონისძიებას:

-
- მოსწავლეები ექსტრაკურიკურალური აქტივობებით, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისად, ღებულობენ დამატებით ცოდნას, განავითარებენ მრავალფეროვან უნარებს და უყალიბდებათ დემოკრატიული მოქალაქეობრივი ღირებულებები.
- აკადემიაში სწავლის პერიოდში მოსწავლეები ეუფლებიან სამ უცხოურ ენას;
- ინერგება ცდებსა და ექსპერიმენტებზე დაფუძნებული და მოდელირებული სწავლება;
- აქცენტი კეთდება თანამედროვე საგანმანათლებლო და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ინტეგრირებულ და ინტერდისციპლინურ სწავლებაზე.

- ინერგება დემოკრატიული კულტურა, სამოქალაქო ღირებულებები, რისთვისაც მნიშვნელოვანია იმ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა (სამთავრობო, არასამთავრებო, ადგილობრივი თუ საერთაშორისო), რომლებიც ამ მიმართულებით ეწევიან საქმიანობას. პარტნიორებთან ერთად ხორციელდება სამართლებრივი კულტურის დანერგვა-განვითარებაზე ორიენტირებული შემეცნებით-აღმზრდელობითი ხასიათის აქტივობები (პროექტები, პროგრამები, აქციები და სხვა).
- აკადემია ხელს უწყობს ჰორიზონტალური, ტოლერანტული, სამართლიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განვითარებას;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა და მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული სქემის მოთხოვნებთან მასწავლებლის კომპეტენციის შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, ასევე, აკადემიის ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერის მიზნით შექმნილია სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის **ჯგუფის მიზნები**ა: აკადემიის ადმინისტრაციის სასწავლო პროცესის ხარისხსა და ორგანიზებასთან დაკავშირებული

საქმიანობის შეფასება და ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერა; მასწავლებლის საქმიანობის შიდა შეფასება; აკადემიის დირექციის, ადმინისტრაციის და სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის სამსახურების წევრთა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა; სკოლაში პროფესიული დიალოგის გაძლიერებისა და თანამშრომლობითი კულტურის განვითარების ხელშეწყობა.

● აკადემიის მისიიდან გამომდინარე, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფსიქოლოგის მუშაობას. ფსიქოლოგის ძირითადი მოვალეობაა, აკადემიის სხვდასხვა სტრუქტურულ ერთეულთან თანამშრომლობით, დაცული, ინკლუზიური პოზიტიური, ნდობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასკოლო კლიმატის შექმნასა და მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა. მათ შორის, თანამშრომელთათვის უსაფრთხო, კონფლიქტებისგან თავისუფალი სამუშაო კლიმატის შექმნის ხელშეწყობა.

● ფსიქოლოგი, ძირითადად, მუშაობს აღსაზრდელთა და მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური, სოციალური და თვითგამოხატვის უნარების განვითარებაზე, მათი პოზიტიური/სამიზნე ქცევის ჩამოყალიბება/მართვასა და სასკოლო სივრცეში ახალი აღსაზრდელების/მოსწავლეების ადაპტაციაზე. აღნიშნული ამოცანების მისაღწევად იგი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საჭირო დახმარებას უწევს აკადემიის აღსაზრდელთა/მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, მასწავლებლებს და სხვა თანამშრომლებს.

● აკადემიის სტრატეგიული განვითარების მიზნების შესრულებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კლასის დამრიგებელის საქმიანობა და სადამრიგებლო პროგრამა. აღმზრდელობითი პროგრამა ხელს უწყობს კლასში მოსწავლეთა შორის თბილი, მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამ მიზნით ეწყობა შემეცნებითი ექსკურსიები და ტურები. აკადემია სხვადასხვა ფორმატით (ტრენინგები, კონფერენციები, აკადემიის ბაზაზე სამუშაო შეხვედრები და სხვა) მუდმივად ზრუნავს დამრიგებელთა მიზნობრივ პროფესიულ განვითარებაზე .

● აკადემიის სასკოლო სასწავლო გეგმა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კათედრების მუშაობას, დასახული მიზნებისა და შედეგების მისაღწევად. ამ მიზნის შესაბამისად, აკადემია კათედრებს უზრუნველყოფს შესაბამისი რესურსით. მხარს უჭერს მათ პროფესიულ განვითარებასა და ინიციატივებს, ახორციელებს პერიოდულ მონიტორინგს და გასცემს უკუკავშირს.

● სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლებისა და წარმატებული შედეგების მიღწევის მნიშვნელოვანი ფაქტორია თვითშეფასება და მუდმივი მონიტორინგი, რისთვისაც, გარდა სხვა აქტივობებისა, აკადემიაში შემოღებულია სემესტრული და წლიური გამოცდები საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. ასევე, სადიაგნოსტიკო შეფასება, მათ შორის დაწყებითი საფეხურის დამამთავრებელი კლასებში.

● მოსწავლეთა სრულფასოვანი განვითარების მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კლუბების საქმიანობას. აკადემია კლუბების თემატიკას მოსწავლეებს სთავაზობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლი უნარების და ღირებულებისა და აკადემიის მისიის გათვალისწინებით. კლუბების საქმიანობა ხალისსა და მრავალფეროვნებას სძენს აკადემიის ყოველდღიურ ცხოვრებას, ხელს უწყობს მოსწავლეების ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენასა და მათ რეალიზებას. კლუბის ჩამოყალიბება შესაძლებელია სასწავლო სემესტრის დასაწყისში მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა, აგრეთვე სხვა კომპეტენტური პირის ინიციატივის საფუძველზე.

● მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით, IX-XII კლასების

მოსწავლეთათვის ეფექტიანია პროფესიული და უმაღლესი განათლების პროფესორ-მასწავლებლებთან, აგრეთვე ამა თუ იმ პროფესიაში წარმატებულ ადამიანებთან შეხვედრები, ამასთანავე, პედაგოგთა მოწვევა კონკრეტული საგანმანათლებლო კურსით. ამ ტიპის პროექტები ზრდის უფროსკლასელებში შემეცნებით მოტივაციას და მათში სწორი პროფესიული არჩევანის გაკეთებასთან ერთად, კომუნიკაციის, კვლევის, ანალიზის, პრეზენტაციის, შემოქმედებითი და სხვა უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს.

- მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტიაციას ხელს ასევე უწყობს პროფილური სწავლების გაძლიერება სწავლების საშუალო საფეხურზე.
- მნიშვნელოვანია აკადემიის გაზეთის/ჟურნალის დაარსება, რაც მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებას შეუწყობს ხელს. ამ მიზნის განსახორციელებლად იგეგმება გამომცემლობებთან, ჟურნალისტებსა და სხვა რესპოდენტებთან შეხვედრები.
- განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აკადემიის ბიბლიოთეკის განვითარებას, რასაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა კამპანიის („წიგნის კვირეული“, „ხელნაწერი წიგნი“, ,,წიგნის ფესტივალი”, გამომცემლობებთან თანამშრომლობა), ორგანიზება და შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით პროექტების განხორციელება.
- მოსწავლეთა სრულფასოვანი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სხვა სკოლების თანატოლებთან, სოციალური ადაპტაციის ცენტრის, სპეციალური საჭიროებებისა და სხვადასხვა რეგიონისა თუ ქვეყნის სასწავლო დაწესებულებთან მჭიდრო და აქტიური კავშირების დამყარება. ამ ტიპის აქტივობით ჩვენ შევძლებთ ტოლერანტული, სამოქალაქო ღირებულებების, მეგობრული ურთიერთობების დანერგვა-განვითარებას.
- აკადემიის პოპულარიზაციის მიზნით მნიშვნელოვანია აკადემიის ვებ. გვერდისა და სოციალური გვერდის მუდმივი განახლება. სოციალურ გვერდზე თავსდება არა მხოლოდ სიახლეები და აკადემიის საქმიანობის ამსახველი მასალები, არამედ საინტერესო საგანმანათლებლო პუბლიკაციები და სხვ.
- მოსწავლეთა თავისუფალი დროის შემეცნებითი ორგანიზებისა და აკადემიის პოპულარიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანია საკვირაო და საზაფხულო სკოლების პროექტების განხორციელება. ამ მიზნით შეიქმნება საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროგრამები.